პერპენდიკულარულ სიბრტყეში დასმულ თითო 21. ხრახნული მექანიზმი 19 ბოლოში მის პერპენდიკულარულ სიბრტყეში დამაგრებულია ბიჯის დასარეგულირებელი თითო 22. ჯაჭვური კონვეიერის 23 წამყვანი ვარსკვლავა 24 მილისის 25 საშუალებით დასმულია ღერძზე 26. კონვეიერის ჯაჭვზე 23 ნამზადების 27 სიგრძის შესაბამისად, დამაგრებულია სავაზნედან ნამზადების გამომტანი საბიძგელები 28. ჯაჭვური კონვეიერის 23 გასწვრივ დაყენებულია მიმმართველი 29 ღრეჭოთი, რომელშიც გადაადგილდება საბიძგელაზე 28. მიმმართველის 29 ზევიდან, ჩარხის დგარზე მოთავსებულია სავაზნე 30, რომელიც შევსებულია ნამზადებით 27. მჭრელი იარაღების მატარებელი საიარაღო თავები 31 დაყენებულია ტელესკოპურ მხრეულებზე 32, რომლებიც სახსრულად უერთდება შტანგებს 33 და 34, რომელთაგან თითოეული თან ატარებს გორგოლაჭებს 35 და 36. შტანგები 33 და 34 მოთავსებულია მიმმართველ სოგმანებზე მილისებში 37 და 38 გრძივი გადაადგილების საშუალებით. მილისები 37 და 38 დაყენებულია ვერტიკალურ თითებზე 39 და 40, რომლებიც ხისტად არის ერთანეთთან დაკავშირებული ბერკეტის 41 საშუალებით, რომელზედაც აგრეთვე დაყენებულია გორგოლაჭებთან 35 და 36 ურთიერთმოქმედი კოპირები 42 და 43. თითებს 39 და 40 აქვს დაზამბარებული ბერკეტი 41 გორგოლაჭით 43, რომელიც ურთიერთმოქმედებს მუშტაზე 5. თითები 39 და 40 ქანაობის საშუალებით დაყენებულია ღერძზე 44. შტანგები 33 და 34 სახსრულად უერთდება სიგრძეზე სარეგულირებელ ბარბაცებს 45 და 46, რომლებიც, თავის მხრიდან სახსრულად უერთდება ჭოკებს 47 და 48, ეს უკანასკნელები კი ხისტადაა დასმული ძელაკებზე 49 და 50. ძელაკები 49 და 50 დაყენებულია დგარზე ქანაობის შესაძლებლობით და აღჭურვილია დაზამბარებული ბერკეტებით 51 და 52. ბერკეტებს 51 და 52 აქვს გორგოლაჭები 53 და 54, რომლებიც ურთიერთმოქმედებაშია ლილვზე 3 დაყენებულ მუშტებთან 4 და 6. მუშტები 4, 5 და 6, აგრეთვე კოპირები 42 და 43 ატარებენ მექანიკურ პროგრამას, რომლებიც მიღებულია ორნამენტის ცალკეულ ნაწილებად - ფრაგმენტებად დაყოფის დროს. საიარაღო თავების 31 რაოდენობა, რომლებსაც გადაადგილებს შტანგები 33 და 34 აღწევს (რთული ორნამენტის მოჭრის დროს) 24-ს.

ნახაზ 1-ზე მისი წაკითხვის გასაადვილებლად გამოსახულია მხოლოდ ორი საიარალო თავი 31.

ავტომატური ჩარხი, რომელიც აღჭურვილია აღნიშნული ბიჯური კონვეიერით მუშაობს შემდეგნაირად: ელექტროძრავას 1 რედუქტორის 2 საშუალებით ბრუნვით მოძრაობაში მოჰყავს გამანაწილებელი ლილვი 3 მუშტებით 4, 5, 6 და 7, 8, რომელთაგანაც მუშტა 7 სასრული გამომრთველებით 13 და 14 ბიჯური კონვეიერის ელექტრომაგნიტურ ქუროებს 9-10 და 11-12 თანმიმდევრულად რთავს და გამორთავს, ხოლო მუშტა 8 ახორციელებს პნევმოცილინდრის 16 ჭოკის 17 წინსვლით და უკუქცევით მოძრაობებს პნევმომანაწილებლის 15 საშუალებით.

მუშტა 5 დაზამბარებული ბერკეტის 41 და თითების 39 და 40 საშუალებით გადახრის მილისებს 37 და 38 კოპირებს 42 და 43, ხოლო მუშტები 4 და 6 ბერკეტების 51 და 52 საშუალებით გადახრის ძელაკებს 49 და 50. ძელაკების 49 და 50 ქანაობითი მოძრაობა, ჭოკების 47 და 48 და ბარბაცების 45 და 46 საშუალებით გარდაიქმნება შტანგების 33 და 34 გორგოლაჭებთან 35 და 36 ერთად კოპირების მიმართ 42 და 43 გადატანით ფარდობით მოძრაობად. ამრიგად, ყველა მჭრელი იარაღის წვერი, რომლებიც დამაგრებულია საიარალო თვის 31 ვაზნაში, ნაკეთობაში ჩანერგვის და მოძრაობის განმავლობაში წარმოქმნის, ანუ მოჭრის, ორნამენტის იმ ნაწილს, რომელიც შეესაბამება მუშტებზე 4, 5 და 6 და კოპირებაზე 42 და 43 ჩაწერილ პროგრამებს.

საიარალო თავის 31 ინსტრუმენტის ნაკეთობიდან საწყის მდგომარეობაში ამოსვლის მომენტიდან მუშტა 7, სასრული გამომრთველის 13 საშუალებით, რთავს ელექტრომაგნიტურ ქუროს 11-12 ჩართვას. ელექტრომაგნიტური ქუროები 11-12 და 9-10 ერთდროულად არიან ჩართულები გარკვეული t დროის განმავლობაში. T არის ერთი ციკლის დრო და იცვლება 20-30 წამის ფარგლებში. ამის შემდეგ სასრული გამომრთველი 14 გამორთავს 9-10 ელექტრომაგნიტურ ქუროს, ხოლო მუშტა 8 პნევმომანაწილებლის 15 საშუალებით მოქმედებაში მოიყვანს პნევმოცილინდრს 16, რომელიც თვისი ჭოკით 17 სახსრულად არის დაკავშირებული ბერკეტზე 18 დამონტაჟებული ხრახნის 19 ქანჩზე 20 დასმულ თითს 21. ბერკეტი 18 ჩართული ელექტროქუროს 11-12 საშუალებით

ვარსკვლავასთან 24, ბიჯური კონვეიერის ჯაჭვთან 23 და საბიძგებლებთან 28 ერთდ ახდენს ნამზადის 27 ერთ ბიჯზე-რაპორტზე გადაადგილებას. პნევმოცილინდრის ჭოკის 17 განაპირა მდგომარეობაში მისვლისათანავე, სასრული გამომრთველი 13 რთავს ელექტრომაგნიტურ ქუროს 9-10 (ამ უკანასკნელის კორპუსი 10 ხისტად არის დასმული ბიჯური კონვეიერის ღერძზე 26 და ამ შემთხვევაში ასრულებს მუხრუჭის მოვალეობას) მიღებული ბიჯის დასაფიქსირებლად. ქუროები 9-10 და 11-12 ამ შემთხვევაშიც ერთდროულად არიან ჩართულები t დროის განმავლობაში, რის შემდეგაც ელექტრომაგნიტური ქურო 11-12 სასრული გამომრთველის 14 საშუალებით გამოირთვება და პნევმოგამანაწილებელი 15 პნევმოცილინდრის ჭოკის 17 უკუსვლით, ბერკეტის 18 ელექტრომაგნიტური ქუროს 11-12 კორპუსის 11 მილისაზე 25 ტრიალით ახდენს თავის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას - შემდგომი ბიჯის შესასრულებლად ციკლი იწყება თავიდან.

ბიჯის ცდომილების სიდიდის დასადგენად, ბიჯის შეცვლის და დარეგულირების შემდეგ, ხდება ბიჯის ცდომილების მექანიზმის ორმხარა მხრეულის 55 მოკლე მხარში 56 ჩასმული ცვეთამედეგი ბურთულას 62 შეთავსება, ანუ შეხება კონვეიერის საბიძგელაზე 28 დამაგრებულ ფირფიტასთან 63, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩრხის მუშაობის პროცესში ბიჯი მეორდება ზუსტად და არ არის დარღვეული, მანამ, სანამ საბიძგელა მორიგი ბიჯის გაკეთების შემდეგ არ გადახრის ისარს 59 ან არ გაჩნდება ღრეჩო ბურთულასა 62 და ფირფიტას 63 შორის. ისრის 59 გადახრის შემთხვევაში ბიჯი გაზრდილია ანუ ცდომილება არის დადებითი, ხოლო ღრეჩოს გაჩენის შემთხვევაში უარყოფითი, ე.ი. ბიჯი შემცირებულია.

კონვეიერის ბიჯის დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის ანუ ცდომილების სიდიდის დასადგენად კონვეიერის ჯაჭვზე 23 დამაგრებული მიმწოდებელი საბიძგელა, რომელიც აღჭურვილია ცვეთამედეგი ფირფიტით 63, მორიგი ბიჯის დამთავრების შემდეგ შეეხება ორმხარა მხრეულის 55 მოკლე მხარზე დამაგრებულ ცვეთამედეგ ბურთულას და გადახრის მას გარკვეული კუთხით, რაც დაკავშირებულია მხრეულის გრძელი მხრის 57 მობრუნებასთან და მისი ისრის წრიული ლიმბის 58 რომელიმე დანაყოფთან შეთავსებასთან. აღსანიშნავია, რომ

წრიული ლიმბის 58 თითოეული დანაყოფი შეესაბამება კონვეიერის ბიჯის 0,0162 მმ-ით დარღვევას, რაც 6 ბიჯის ჯამური ცდომილების ტოლია ანუ თითოეულ ბიჯზე ცდომილება უდრის დაახლოებით 0,0027 მმ-ს. მაშასადამე, აღნიშნული მოწყობილობა საშუალებას გვაზლევს კონვეიერის ბიჯის კორექცია მოვახდინოთ უკვე წრიული ლიმბის ერთი დანაყოფის ჩვენების ანუ ბიჯის 0,0162 მმ-ით დარღვევის შემდეგ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ დასაშვები ტექნოლოგიური ცდომილება ხეზე ორნამენტის მოჭრაზე ტოლია 0,2 მმ-სა, რაც გაცილებით ახანგრძლივებს ჩარხის გაუჩერებელ მუშაობას კონვეიერის ბიჯის კორექტირების გარეშე.

ზემოთ აღწერილი იყო ბიჯის დარღვევის და კორექციის პროცესი ბიჯის მატების შემთხვევაში. თუ ბიჯის სიდიდე მცირდება, მაშინ წარმოიშვება ღრეჩო მხრეულის პატარა მხრის 56 ბურთულასა 62 და საბიძგელას 28 ფირფიტას შორის, რომელიც უნდა გაიზომოს საცეცის საშუალებით და დადგინდეს ცდომილების სიდიდე ბიჯის კლების შესაბამისად.

ორივე შემთხვევაში ბიჯის ცდომილების აღმოსაფხვრელად ხდება კონვეიერის ხრახნული მექანიზმის ხრახნის 19 მობრუნება სახელურით 22 გარკვეული კუთხით - მარჯვნივ ან მარცხნივ, წრიულ ლიმბზე ნაჩვენები ან საცეცით გაზომილი ცდომილების შესაბამისად, რაც იწვევს მხრეულის 18 დაგრძელებას ან დამოკლებას და კონვეიერის ბიჯის კორექტირებას, მატების ან კლების სახით, იმისგან დამოკიდებულებით ისარი 59 გადახრილია, თუ ღრეჩოა გაჩენილი ბურთულასა და ფირფიტას შორის.

როგორც წესი, აღნიშნული რეგულირების შემდეგ ბიჯის ცდომილება პრაქტიკულად უტოლდება ნულს და ჩარხის მუშაობა უბრუნდება ნორმალურ რეჟიმს ბიჯის შემდგომი დარღვევის დაფიქსირებამდე.

დასკვნა

დამუშავებულია ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბიჯის მაჩვენებელი-დამაფიქსირებელი მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი შეიცავს ბიჯის ცდომილების მაჩვენებელ წრიულ ლიმბას, რომელიც დაკავშირებულია ლიმბის ცენტრში სახსრულად დამაგრებულ ორმხარა

მხრეულას გრძელი მხრის ისართან. ამასთან წრიული ლიმბის თითოეული დანაყოფი შეესაბამება კონვეიერის ბიჯის 0,0162 მმ-ით ბიჯის ცდომილებას. ბიჯის ცდომილების მაჩვენებელი მექანიზმი საშუალებას გვაძლევს კონვეიერის ბიჯის ცდომილების კორექცია დავიჭყოთ წრიული ლიმბის ერთი დანაყოფის ჩვენების მიხედვით, რაც გაცილებით ნაკლებია ხეზე ორნამენტის მოჭრის დასაშვებ ტექნოლოგიურ ცდომილებაზე - 0,2მმ.

ბიჯის ცდომილების მაჩვენებელი მექანიზმით აღჭურვილი ხეზე ორნამენტის მოსაჭრელი 200-ზე მეტი ავტომატურიჩარხი დამზადებულია ქარხნული წესით და მუშაობს ხის დამმუშავებელ ავეჯის საწარმოებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პატენტი GE P 2009 4777B. ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერი. **ზ. ბალამწარაშვილი, რ. ტყემალაძე, ზ. ჩიტაძე, გ. ასანიძე.** გამოქვეყნებული 2008, 02.19. საქპატენტი, თბილისი.
2. **З.Г. Баламцарашвили, З. В. Дундуа, Т. Ф. Мchedlishvili, З. Д. Читидзе.** Основы построения и разработки станков и станочных систем для художественной резюы по дереву. - „Техническтй университет. Тбилиси., 2008, 263с.
3. **З.Г. Баламцарашвили, З. В. Дундуа, Т. Ф. Мchedlishvili, З. Д. Читидзе.** Кинематика и динамика станков-автоматов для нарезания сложнопрофилных орнаментов, - „Техническтй университет. Тбилиси., 2008, 352с

Механизм погрешности шага шагового конвейера автоматического станка для нарезания орнамента

Х. Амколадзе, Т. Мchedlishvili З. Баламцарашвили, Р. Tkemaladze

Резюме

Разработан механизм погрешности шага шагового конвейера автоматического станка для нарезания орнамента, который дает возможность зафиксировать величину погрешности шага в технологическом процессе нарезания. Механизм регистрации погрешности шага смонтирован на конце шагового конвейера станка. Основным

элементом механизма является двухсторонний рычаг и колцовой лимб. Каждое деление лимба соответствует погрешности шага в размере 0,0162 мм, что равняется суммарной погрешности шести шагов. При этом погрешность на каждом шаге примерно равняется 0,0027 мм, т.е. на двухметровой отрезке обрабатываемой поверхности суммарная погрешность равняется 0,194 мм. Механизм регистрации погрешности шага конвейера дает возможность осуществлять коррекцию шага начиная с погрешности в 0,0162 мм, что существенно меньше допустимой технологической погрешности нарезания орнамента в 0,2мм.

**A PITCH ERROR MECHANISM FOR THE ORNAMENT CUTTING
AUTOMATIC MACHINE TOOL PITCH CONVEYOR**

Kh. Amkoladze, T. Mchedlishvili, Z. Balamtsarashvili, R. Tkemaladze

Abstract

Is developed and designed pitch error mechanism for the ornament cutting automatic machine tool pitch conveyor that gives the possibility to fix the value of error in the machine tool operational technological process of cutting the ornament. The error indicator mechanism is simple and installed at the end of the machine tool pitch conveyor on the blank details movement-guiding device. The main elements of the mechanism are the bilateral and circular limbs. Each part of the limb is incompatible with conveyor pitch of 0.0162 mm, which is equal to the total error of 6 pitches, or the error value on each pitch is approximately 0,0027 mm; i.e. at maximum movement on of 72 reports on 2 m length slot the total error value will be equal of 0.194 mm. The pitch conveyor error indicator mechanism gives the possibility of the correction of the pitch at the value of 0.0101 mm pitch error, which is much less than the technological value of technological error 0.2 mm at cutting the wood ornament.

მაღალეფექტიანი საავტომობილო სუსპენზიური ზეთის

ნანოტექნოლოგიით დამზადების პროცესის

მათემატიკური მოდელის დამუშავება

ლ. კაკაშვილი, ე. მაჭავარიანი, ჯ. იოსებიძე, დ. ალადაშვილი,

მ. ხვედელიძე, ნ. დიასამიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, მ. კოსტავას №77,

საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში დამუშავებულია საავტომობილო სუსპენზიური ზეთის ნანოტექნოლოგიით დამზადების I პერიოდის, ანუ საზეთე ნარევის სასურველ ტემპერატურამდე გაცხელების მათემატიკური მოდელი, რომელიც გაცხელებისათვის საჭირო სითბოს რაოდენობისა და მისი მიწოდების ხანგრძლივობის ოპტიმალური სიდიდეების დადგენის საშუალებას იძლევა, ისეთი ფაქტორებისაგან დამოკიდებულებით, როგორცაა გაცხელების პროცესის და სითბოს წყაროს თბოფიზიკური პარამეტრები, ასევე ამორთქლებელ-ჰომოგენიზატორის გაბარიტული ზომები და მისი მასალის და თბოიზოლაციის მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: საავტომობილო ზეთი, საზეთე ნარევი, სითბოს ხარჯი, სითბოტევადობა, სითბოგამტარობა, თბოგადაცემა.

შესავალი

ადრე დადგენილი იქნა აცეტილენის ჟანგვითი პიროლიზით წარმოების ნარჩენი ამორფული ნანოდისპერსული ნახშირბადის (ანდნ (ჟპზ)) ფუძეზე მაღალეფექტიანი საავტომობილო ზეთების მიღების შესაძლებლობა [1,2].

აღნიშნულის სათანადო დონეზე რეალიზებისათვის აუცილებელია ასეთი ტიპის სუსპენზიური ზეთების დასამზადებლად შესაბამისი ნანოტექნოლოგიის დამუშავება. მისი მათემატიკური მოდელი განხილულია ქვემოთ.

ძირითადი ნაწილი

საზეთე ნარევის დამუშავების I პერიოდის, ანუ მისი ამორთქლებელ-ჰომოგენიზატორში 20-დან 100°C ტემპერატურამდე გაცხელების პერიოდის მათემატიკური მოდელი ემყარება სითბური ბალანსის განტოლებისა და თბოგადაცემის განტოლების ერთდროულ ამოხსნას.

პირველად საჭიროა გაცხელების რეჟიმში მომუშავე ამორთქლებელ-ჰომოგენიზატორის სითბური ბალანსის განტოლების შედგენა, რომლის ერთ მხარეს იქნება გამახურებელ აგენტად გამოყენებული ნაჯერი წყლის ორთლის მიერ დროის ერთეულში მოტანილი სითბოს რაოდენობა (სითბური სიმძლავრე) და მეორე მხარეს იმავე დროის ერთეულში სხვადასხვა მიმართულებით გავრცელებული სითბოს რაოდენობების ჯამი.

I პერიოდში გამახურებელი ორთქლის მიერ მოტანილი სითბოს რაოდენობა ($Q_{ორთქ}^{1პერ}$) დაიხარჯება სასურველ ტემპერატურამდე ნარევის ($Q_{ნარევ}^{1პერ}$) და აპარატის კონსტრუქციის ($Q_{კონსტრ}$) გაცხელებაზე და გარემო ჰაერში გავრცელებაზე ($Q_{დანაკ}^{1პერ}$). მაშინ პროცესის I პერიოდისათვის სითბური ბალანსის განტოლება იქნება [3,5,14,15]:

$$Q_{ორთქ}^{1პერ} = Q_{ნარევ}^{1პერ} + Q_{კონსტრ} + Q_{დანაკ}^{1პერ}, \quad [ჯ]. \quad (1)$$

(1) განტოლების მარჯვენა მხარეს არსებული პირველი შესაკრები სითბოს ის რაოდენობაა, რომელიც თბოგადაცემის გზით უნდა გადაეცეს გამაცხელებელი ორთქლიდან საზეთე ნარევს პირველი პერიოდის ყოველ წამში. სითბოს ეს რაოდენობა გაიანგარიშება სითბოგადაცემის ცნობილი განტოლებით [3]:

$$Q_{ნარევ}^{1პერ} = K \cdot (t_{ორთქ} - t_{ნარევ}) \cdot F_{სითგადაც}^{ბაგბ.-სას} \cdot \tau, \quad [ჯ], \quad (2)$$

სადაც $F_{სითგადაც}^{ბაგბ.-სას}$ არის აპარატის შიგა კედლის ზედაპირის ფართობი, რომელსაც ეხება გასაცხელებელი საზეთე ნარევი (კედლის მეორე მხარეს კი

კონდენსირდება გამაცხელებელი ორთქლი). პროცესის გეომეტრიული

მოდელის დამუშავებისას დადგენილ იქნა, რომ $F_{სითგადაც}^{გაცხ.-სას} = 11,85 \text{ მ}^2$;

τ არის იმ დროის ხანგრძლივობა, რომელიც აუცილებელია ნარევის

სასურველ ტემპერატურამდე (ე.ი. 100°C -მდე) გასაცხელებლად, [წმ];

$t_{ორთ.}$ და $t_{ნარ.}$ – შესამაბისად, პერანგში არსებული ნაჯერი ორთქლის და აპარატში

მოთავსებული დასამუშავებელი ნარევის ტემპერატურები, [$^\circ\text{C}$].

K არის სითბოგადაცემის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს სითბოგადაცემის პროცესს. იგი რიცხობრივად იმ სითბოს რაოდენობის ტოლია, რომელიც გადაეცემა ორთქლიდან ნარევს კედლის ყოველ ერთ კვადრატულ მეტრ ფართობიდან, დროის ერთეულში და ორთქლისა და ნარევის ტემპერატურებს შორის ერთ გრადუსიანი სხვაობის პირობებში. თბოგაცემის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით [4]:

$$K = \frac{1}{\frac{1}{\alpha_{ოკონ.}} + \frac{\delta_{კედ.}}{\lambda_{კედ.}} + \frac{1}{\alpha_{ნარგაცხ.}}}, \text{ [ჯ/მ}^2 \cdot \text{წმ} \cdot \text{გრად.]} , \quad (3)$$

სადაც $\alpha_{ოკონ.}$ არის თბოგაცემის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს ნაჯერი ორთქლის კონდენსაციისას ორთქლიდან კედელზე სითბოს გადაცემის პროცესს, [ჯ/მ² · წმ · გრად.];

$\delta_{კედ.}$ – ამორთქლებელ-ჰომოგენიზატორის პერანგის შიგა კედლის სისქეა, [მ];

$\lambda_{კედ.}$ – ამავე კედლის მასალის თბოგამტარობის კოეფიციენტი, [ჯ/მ² · წმ · გრად.];

$\alpha_{ნარგაცხ.}$ – თბოგაცემის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს კედლის შიგა ზედაპირიდან ნარევისათვის სითბოს გადაცემის, ანუ ნარევის გაცხელების პროცესს, [ჯ/მ² · წმ · გრად.].

რადგან აპარატის გამაცხელებელ პერანგში წყლის ნაჯერი ორთქლის სრული კონდენსაცია ხდება, $\alpha_{ოკონ.}$ სიდიდე აიღება ზღვრებში: 80000-150000 ვტ/მ²·K. მივიღოთ $\alpha_{ოკონ.} = 100000$ ვტ/მ²·K.

$\alpha_{ნარ.გაცხ.}$ -ის სიდიდის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ფრთიანი შემრევის მქონე აპარატისათვის განკუთვნილი კრიტერიალური განტოლება [5-7]:

$$Nu = C \cdot Re^m \cdot Pr^{0,33} \cdot \left(\frac{\mu_{ნარ.}}{\mu_{კედ.}} \right)^{0,14} \quad (4)$$

სადაც C კრიტერიალური განტოლების კოეფიციენტია და შემრევინი აპარატებისათვის 0,36-ის ტოლია [5].

$$Nu = \frac{\alpha_{ნარ.გაცხ.} \cdot d_{შიგა}}{\lambda_{ნარ.}}$$

-არის ნუსელტის კრიტერიუმი;

$$Re = \frac{\rho_{ნარ.} \cdot n \cdot d_{შემრს}^2}{\mu_{ნარ.}}$$

არის რეინოლდსის კრიტერიუმი;

$$Pr = \frac{c_{ნარ.} \cdot \mu_{ნარ.}}{\lambda_{ნარ.}}$$

პრანდტლის კრიტერიუმი;

m -რეინოლდსის კრიტერიუმის ხარისხის მაჩვენებელია. მბრუნავ შემრევინი აპარატებისათვის $m=0,67$ [5-7].

ამ კრიტერიუმების გამოსახულებათა შეტანით (4) გამოსახულებაში კედლიდან ნარევეზე თბოგადაცემის კოეფიციენტის - $\alpha_{ნარ.გაცხ.}$ საანგარიშო ფორმულას ექნება შემდეგი სახე:

$$\alpha_{ნარ.გაცხ.} = c_{ნარ.} \cdot \frac{\lambda_{ნარ.}}{d_{შიგა}} \cdot \left(\frac{\rho_{ნარ.} \cdot n \cdot d_{შემრს}^2}{\mu_{ნარ.}} \right)^{0,67} \cdot \left(\frac{c_{ნარ.} \cdot \mu_{ნარ.}}{\lambda_{ნარ.}} \right)^{0,33} \cdot \left(\frac{\mu_{ნარ.}}{\mu_{კედ.}} \right)^{0,14} \quad (5)$$

სადაც $d_{შიგა}$ არის აპარატის შიგა დიამეტრი, [მ]; $\lambda_{ნარ.}$ – ნარევის თბოგამტარობის კოეფიციენტი, [ვტ/(მ·°C)]; $\rho_{ნარ.}$ – ნარევის სიმკვრივე, [კგ/მ³]; n – შემრევის ბრუნვის სიხშირე, [წმ⁻¹]; $d_{შემრს}$ – შემრევის ფრთოვანას ბრუნვის დიამეტრი, [მ]; $c_{ნარ.}$ – ნარევის თბოტევადობა მუდმივი წნევის დროს, [კჯ/(კგ·°C)]; $\mu_{ნარ.}$ და $\mu_{კედ.}$ – შესაბამისად, ნარევის დინამიკური სიბლანტე აპარატის სიღრმეში და კედელთან.

ვინაიდან გაცხელების პროცესში სხვა თბოფიზიკურ პარამეტრებთან ერთად ნარევის სითბოტევადობაც იცვლება, გაანგარიშებას ვატარებთ გაცხელების პერიოდის პირობითად დაყოფილი 8 ქვეპერიოდისათვის, რომელთა განმავლობაშიც ვთვლით, რომ ნარევის ტემპერატურა უმნიშვნელოდ იზრდება. შესაბამისად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ თბოფიზიკური პარამეტრების ცვლილებას ქვეპერიოდებში ადგილი არ აქვს. ყოველი ქვეპერიოდისათვის

თბოფიზიკური პარამეტრის სიდიდეები აიღება სათანადო ცხრილებიდან [3,8-10,13,14]. მოცემული ქვეპერიოდში ნარევის შესაბამისი საშუალო ტემპერატურის მიხედვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოსახულებების (2), (3) და (5) გამოყენებით, ყოველი ქვეპერიოდისათვის ცალკე-ცალკე იანგარიშება მათი შესაბამისი $Q_{ნარევი}^i$, K_i და $\alpha_{i-ნარ.გაცხ.}$ -ის სიდიდეები. სითბოს რაოდენობის $Q_{ნარევი}^i$ - ის საანგარიშოდ გამოვიყენოთ (2) გამოსახულების ანალოგიური გამოსახულება:

$$Q_{ნარევის}^i = K_i \cdot (t_{ორთქ} - t_{i-ური ნარევი}) \cdot F_{სით.გადაც.}^{გაცხ.-სას} \cdot \tau_i, [ჯ], \quad (6)$$

სადაც: $F_{სით.გადაც.}^{გაცხ.-სას} = 11,85 \text{ მ}^2$;

$t_{ორთქ}$ და $t_{i-ური ნარევი}$ შესაბამისად, არის გამახურებელი ორთქლის ტემპერატურა და ნარევის საშუალო საანგარიშო ტემპერატურა მოცემულ ქვეპერიოდში, [K];

τ_i - მოცემული ქვეპერიოდის ხანგრძლივობა, [წმ]. ეს სიდიდე უცნობია და მისი მნიშვნელობა უნდა დადგინდეს თბური ბალანსისა (1) და თბოგადაცემის (2) განტოლებების ერთდროული ამოხსნით.

K_i არის მოცემული ქვეპერიოდის განმავლობაში მიმდინარე თბოგადაცემის პროცესის დამახასიათებელი სითბოგადაცემის კოეფიციენტი $[ჯ/მ^2 \cdot წმ \cdot K]$, რომლის გამოსათვლელი ფორმულა ყოველი ქვეპერიოდისათვის, (3) გამოსახულების ანალოგიურად, შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$K_i = \frac{1}{\frac{1}{\alpha_{კონ.}} + \frac{\delta_{კედ.}}{\lambda_{i-ური კედ.}} + \frac{1}{\alpha_{i-ური ნარ.გაცხ.}}}, [ჯ/მ^2 \cdot წმ \cdot გრად.], \quad (7)$$

სადაც, $\lambda_{i-ური კედ.}$ არის კედლის მასალის თბოგამტარობის კოეფიციენტის მნიშვნელობა და ის აიღება სათანადო ცნობარიდან [3,14], მოცემულ ქვეპერიოდში კედლის საშუალო ტემპერატურის მიხედვით;

$\alpha_{კონ.}$ - გამახურებელი ორთქლის კონდენსაციისას თბოგაცემის კოეფიციენტის მნიშვნელობა. უკვე დადგენილია და $\alpha_{კონ.} = 100000 \text{ ჯ/წმ} \cdot \text{მ}^2 \cdot K$;

α_i -ური ნარ.გაცხ. შესაბამისი ქვეპერიოდის თბოგაცემის კოეფიციენტი გაიანგარიშება (5) გამოსახულების ანალოგიურად, ყოველი ქვეპერიოდისათვის ცალ-ცალკე, შემდეგი გამოსახულებით:

$$\alpha_i\text{-ური ნარ.გაცხ.} = C \cdot \frac{\lambda_{i\text{ნარ.}}}{d_{შიგა}} \cdot \left(\frac{\rho_{i\text{ნარ.}} \cdot n \cdot d_{შემრევის}}{\mu_{i\text{ნარ.}}} \right)^{0,67} \cdot \left(\frac{c_{i\text{ნარ.}} \cdot \mu_{i\text{ნარ.}}}{\lambda_{i\text{ნარ.}}} \right)^{0,33} \cdot \left(\frac{\mu_{i\text{ნარ.}}}{\mu_{i\text{ნარ.}}^{შედ.}} \right)^{0,14}, [\text{ჯ/წმ} \cdot \text{მ}^2 \cdot \text{K}]. \quad (8)$$

(7) და (80) გამოსახულებებში შემავალი პარამეტრების – $\lambda_{i\text{კედ.}}$, $\lambda_{i\text{ნარ.}}$, $\mu_{i\text{ნარ.}}$, $\rho_{i\text{ნარ.}}$, $\mu_{i\text{ნარ.}}^{შედ.}$ და $c_{i\text{ნარ.}}$ -ის რიცხვითი მნიშვნელობები ყოველი 8 საანგარიშო ქვეპერიოდისათვის დგინდება ნარევის კომპონენტების ამავე მახასიათებლების მიხედვით სათანადო ცნობარებიდან [3,8-10,13,14], ქვეპერიოდში ნარევის საშუალო და კედლის ტემპერატურებზე. ამასთან, ვთვლით, რომ ყოველ ქვეპერიოდში კედლის ტემპერატურის საანგარიშო მნიშვნელობა ნარევის ამავე ქვეპერიოდში მისაღწევი მაქსიმალური ტემპერატურის ტოლია. ასევე დადგენილია, რომ $\alpha_{0,კ} = 100000 \text{ ჯ/წმ} \cdot \text{მ}^2 \cdot \text{K}$.

საზეთე ნარევის კომპონენტების (ზეთი, წყალი, ნახშირბადი) პარამეტრები (სიმკვრივე, დინამიკური სიბლანტე, სითბოგამტარობა, სითბოტევადობა და ა.შ) დადგენილ იქნა სათანადო ცნობარების მიხედვით [3,8-10,13,14], ხოლო იგივე პარამეტრების მნიშვნელობები ნარევისათვის გაანგარიშებული იქნა ადიტივობის კანონის შესაბამისად [10].

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, გარდა (2) გამოსახულებისა, ქვეპერიოდებში ნარევის გაცხელებისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა – $Q_{ნარევი}^i$ მარტივად გამოითვლება ცნობილი ფორმულით [12]:

$$Q_{ნარევი}^i = M^{ნარ.} \cdot c_{i\text{ნარ.}} \cdot (t_{i\text{ნარ.}} - t_{(i-1)\text{ნარ.}}), [\text{ჯ}]. \quad (9)$$

ამრიგად, (6) და (9) გამოსახულების მარჯვენა ნაწილების გატოლებით, ქვეპერიოდის ხანგრძლივობის – τ გამოსათვლელად, შესაბამისი გარდაქმნების შემდეგ მიიღება გამოსახულება:

$$\tau_i = \frac{M^{ნარ.} \cdot c_{i\text{ნარ.}} \cdot (t_{i\text{ნარ.}}'' - t_{i\text{ნარ.}}')}{K_i \cdot (t_{ორთქ} - t_{i\text{-ური ნარევის}}) \cdot F_{სით.გადავ.}^{გაცხ.-ბას}}, [\text{წმ}]. \quad (10)$$

ცნობილია, რომ (10)-ში შემავალი $M^{ნარ.} = 3530 \text{ კგ}$, ხოლო $t_{ორთქ} = 100 \text{ }^\circ\text{C}$ ზემოაღნიშნულის რეალიზების შედეგები ნაჩვენებია ცხრილში

თბოგაცემის α_i და სითბოგადაცემის K_i კოეფიციენტები, ნარევის გაცხელებისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა $Q_{ნარ.}^i$ და ქვეპერიოდების ხანგრძლივობა τ_i

ქვეპერიოდის ნომერი	1	2	3	4	5	6	7	8
$\alpha_i, [\text{ჯ}/\text{მ}^2 \cdot \text{წმ} \cdot \text{K}]$	78,32	91,31	100,76	108,42	114,52	118,94	122,99	126,29
$K_i, [\text{ჯ}/\text{მ}^2 \cdot \text{წმ} \cdot \text{K}]$	77,73	90,51	99,77	107,27	113,22	117,51	121,44	124,64
$Q_{ნარ.}^i, [\text{კჯ}]$	106588	107224	108011	108891	109638	110482	111421	112378
$\tau_i, [\text{წმ}]$	1543	1538	1661	1903	2335	3173	5161	15217

ქვეპერიოდების ხანგრძლივობათა შეჯამებით მივიღებთ, რომ საზეთე ნარევის 100 °C-მდე გაცხელების დრო შეადგენს:

$$\tau^{1პერ}=9 \text{ სთ.}$$

საზეთე ნარევის გაცხელების პერიოდის განმავლობაში გამაცხელებელი ორთქლის მიერ პროცესის უზრუნველსაყოფი გადაცემული ჯამური სითბოს რაოდენობა განისაზღვრება თბური ბალანსის (1) გამოსახულების შემდეგი სახით ჩაწერილი განტოლებით:

$$Q_{გაცხ.}^{ორთქ.} = Q_{გაცხ.}^{ნარ.} + Q_{გაცხ.}^{კონსტრ.} + Q_{გაცხ.}^{დანაკ.} \quad (11)$$

სადაც, $Q_{გაცხ.}^{ნარ.}$, $Q_{გაცხ.}^{კონსტრ.}$ და $Q_{გაცხ.}^{დანაკ.}$, შესაბამისად, არის სითბოს რაოდენობები, ჯამურად დახარჯული ნარევის და დანადგარის კონსტრუქციის გაცხელებაზე და გარემოში დანაკარგებზე.

ცხრილის მონაცემების თანახმად, მივიღებთ, რომ

$$Q_{გაცხ.}^{ნარევი} = \sum_{i=1}^8 Q_i^{ნარ.} = 874633, [\text{კჯ}]. \quad (12)$$

გამოსახულება (11)-ის მეორე შესაკრები ყოველი ქვეპერიოდისათვის იანგარიშება (9) გამოსახულების ანალოგიურად:

$$Q_{გაცხ.}^{კონსტრ.} = M_{კონსტრ.} \cdot C_{საშ.}^{კონსტრ.} (t''_{კონსტრ.} - t'_{კონსტრ.}), [\text{კჯ}], \quad (13)$$

სადაც $M_{კონსტრ.}$ და $C_{საშ.}^{კონსტრ.}$, შესაბამისად, არის აპარატის კონსტრუქციის მასა და მასალის კუთრი სითბოტევადობა გაცხელების პერიოდის საშუალო ტემპერატურაზე. [10]-ის თანახმად, ფოლ.20-თვის შეიძლება მივიღოთ

$C_{საშ.}^{კონსტრ.}=468 \text{ჯ}/\text{კგ} \cdot \text{გრად}$, $t''_{კონსტრ.} - t'_{კონსტრ.}$ არის კონსტრუქციის ტემპერატურათა სხვაობაა გაცხელების პერიოდის დასაწყისში და ბოლოში და შეადგენს 80°C-ს.

(10) გამოსახულების მიხედვით ჩატარებული გაანგარიშების თანახმად,

$$Q_{გაცხ.}^{კონსტრ.} = 41932,8 \text{ [კჯ]},$$

რადგან გაცხელების პერიოდში ორთქლის პერანგის გარე ზედაპირს ექნება ფაქტიურად მუდმივი ტემპერატურა (რაც შეესაბამება ნაჯერი ორთქლის კონდენსაციის ტემპერატურას), ხოლო სახურავის გარე ზედაპირის ტემპერატურა ცვალებადია (მატულობს 20-დან 100°C-მდე), ამიტომ სითბოს დანაკარგებს ვანგარიშობთ ცალ-ცალკე სახურავიდან და აპარატის დანარჩენი ზედაპირიდან. მაშინ

$$Q_{გაცხ.}^{დანაკ.} = Q_{სახურ.}^{დანაკ.} + Q_{დანარჩ.ზედ.}^{დანაკ.} \quad (14)$$

თუ დავუშვებთ, რომ სახურავის ზედაპირის ტემპერატურა თითოეულ ქვეპერიოდში ნარევის საშუალო ტემპერატურის ტოლია, შეგვიძლია დავწეროთ:

$$Q_{სახურ.}^{დანაკ.} = \sum_{i=1}^8 Q_{i,სახურ.}^{დანაკ.} \quad (15)$$

თუ გავითვალისწინოთ რომ დანადგარის ზედაპირებიდან სითბოს დაკარგვა ხდება როგორც კონვექციური თბოცვლით, ისე გამოსხივებით, მაშინ შეგვიძლია დავწეროთ, რომ

$$\sum_{i=1}^8 Q_{i,სახურ.}^{დანაკ.} = \sum_{i=1}^8 Q_{i,სახურ.}^{კონვექც.დანაკ.} + \sum_{i=1}^8 Q_{i,სახურ.}^{გამოსხ.დანაკ.} \quad (16)$$

და ანალოგიურად -

$$Q_{დანარჩ.ზედ.}^{დანაკ.} = Q_{დანარჩ.ზედ.}^{კონვექც.დანაკ.} + Q_{დანარჩ.ზედ.}^{გამოსხ.დანაკ.} \quad (17)$$

ვინაიდან ჰომოგენიზატორ-ამაორთქლებელი მოთავსებული უნდა იყოს დახურულ შენობაში, რომელშიც ჰაერის ცირკულაცია მოხდება მხოლოდ ბუნებრივი კონვექციით, [5]-ის მიხედვით, კონვექციური თბოგაცემის კოეფიციენტი ყოველი ქვეპერიოდისათვის შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$\alpha_{კონ.}^{i,სახურავ.} = 1,66 (t_{კედ}^i - t_{ჰაერ.})^{1/3}, \text{ [ჯ/წმ}^2 \cdot \text{K]}, \quad (18)$$

ხოლო გამოსხივებით სითბოს დანაკარგისათვის -

$$\alpha_{გამოსხ.}^{i,სახურავ.} = 5,67 \cdot \varepsilon \cdot \frac{\left(\frac{T_{კედ}^i}{100}\right)^4 - \left(\frac{T_{ჰაერ.}}{100}\right)^4}{t_{კედ}^i - t_{ჰაერ.}}, \text{ [ჯ/წმ}^2 \cdot \text{K]}, \quad (19)$$

სადაც, ε - აპარატის კორპუსის სიშავის ხარისხია და ტოლია $\varepsilon=0,9$.

საბოლოოდ, აპარატის სახურავის და დანარჩენი ზედაპირებიდან ყოველ საანგარიშო ქვეპერიოდში დაკარგული სითბოს რაოდენობები შეიძლება ვიანგარიშოთ (2) გამოსახულების ანალოგიური გამოსახულებებით:

$$Q_{i, \text{სახურ.}}^{\text{დანაკარ.}} = \left(\alpha_{\text{კონ.}}^{i, \text{სახურავ.}} + \alpha_{\text{გამოსხ.}}^{i, \text{სახურავ.}} \right) \cdot (t_{\text{კედ}}^i - t_{\text{ჰაერ.}}) \cdot F_{\text{სახურავ.}} \cdot \tau_i, \quad [\text{ჯ}] \quad (20)$$

და

$$Q_{\text{დანარჩ. ზედ.}}^{\text{დანაკ.}} = (\alpha_{\text{კონ.}} + \alpha_{\text{გამოსხ.}}) \cdot (t_{\text{კედ}} - t_{\text{ჰაერ.}}) \cdot F_{\text{გვ. და ფსკ.}} \cdot \tau_{\text{გაცხ.}}, \quad [\text{ჯ}]. \quad (21)$$

ჩატარებულმა გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ

$$\sum_{i=1}^8 Q_{\text{სახ.}}^{\text{დანაკ.}} = 67529 \quad [\text{კჯ}],$$

ხოლო:

$$Q_{\text{დანარჩ. ზედ.}}^{\text{დანაკ.}} = (7,15 + 7,64) \cdot (100 - 20) \cdot 16 \cdot 32531 = 615851 \quad [\text{კჯ}].$$

უნდა აღინიშნოს, რომ აპარატის დანარჩენი ზედაპირებიდან (გვერდებიდან და ფსკერიდან) გარემოში სითბოს დანაკარგების მიღებული მნიშვნელობა ძალზე დიდია (ნარევის გაცხელებისათვის აუცილებელი სითბოს რაოდენობის $Q_{\text{ნარევის გაცხელ.}}^{\text{ნარევის}} = 874633$ [კჯ] რიგისა), რაც ამ ზედაპირების თბური იზოლაციით აღჭურვის აუცილებლობაზე მიუთითებს და მოითხოვს შესაბამისი გაანგარიშებების ჩატარებას.

საიზოლაციო ფენის მიერ I პერიოდში თბოგამტარობის საშუალებით გატარებული სითბოს რაოდენობის საანგარიშოდ, გამოვიყენოთ ფურიეს განტოლება [11]:

$$Q_{\text{ოხ.}} = \lambda_{\text{ოხ.}} \cdot F_{\text{ოხ.}} \cdot \tau_{\text{გაცხ.}} \cdot \frac{(t_{\text{კედ}}^{\text{შიგა}} - t_{\text{კედ}}^{\text{გარე}})}{\delta_{\text{ოხ.}}}, \quad [\text{ჯ}]. \quad (22)$$

სითბოს რაოდენობა $Q_{\text{ოხ.}}$, ცხადია, გადაეცემა გარემოს კონვექციით და გამოსხივებით. შესაბამისად:

$$Q_{\text{ოხ.}} = (\alpha_{\text{კონ.}} + \alpha_{\text{გამოსხ.}}) \cdot (t_{\text{კედ}}^{\text{გარე}} - t_{\text{ჰაერ.}}) \cdot F_{\text{ოხ.}} \cdot \tau_{\text{გაცხ.}} \quad [\text{ჯ}]. \quad (23)$$

(22) და (23) გამოსახულებების მარჯვენა ნაწილების გატოლებით და $F_{\text{ოხ.}}$ და $\tau_{\text{გაცხ.}}$ პარამეტრების შეკვეცით მივიღებთ გამოსახულებას:

$$\frac{\lambda_{\text{ოხ.}}}{\delta_{\text{ოხ.}}} \cdot (t_{\text{კედ}}^{\text{შიგა}} - t_{\text{კედ}}^{\text{გარე}}) = (\alpha_{\text{კონ.}} + \alpha_{\text{გამოსხ.}}) \cdot (t_{\text{კედ}}^{\text{გარე}} - t_{\text{ჰაერ.}}), \quad (24)$$

სადაც, $t_{\text{კედ}}^{\text{გარე}}$ არის ორთქლის პერანგის გარე კედლის ტემპერატურა და 100°C-ის ტოლია, ხოლო $t_{\text{ჰაერ.}} = 20$ °C .

ვინაიდან, დანადგარი დაიფარება თბოსაიზოლაციო ფენით და, ცხადია, გარე ზედაპირის ტემპერატურა დაიკლებს, გაანგარიშებას ვაწარმოებთ თანდათანობითი

მიახლოების მეთოდით. ამისათვის დავუშვათ, რომ თბოიზოლაციის გარე ზედაპირის ტემპერატურა 30°C-ის ტოლია. მაშინ თბოგაცემის კოეფიციენტების ახალი მნიშვნელობები იქნება:

$$\alpha_{კონ.} = 1,66 (t_{კედ.} - t_{კაერ.})^{1/3} = 1,66 (30 - 20)^{1/3} = 3,55 \text{ [ჯ/წმ} \cdot \text{მ}^2 \cdot \text{K]},$$

$$\alpha_{გამოსხ.} = 5,67 \cdot \varepsilon \cdot \frac{\left(\frac{T_{კედ.}}{100}\right)^4 - \left(\frac{T_{კაერ.}}{100}\right)^4}{t_{კედ.} - t_{კაერ.}} = 5,67 \cdot 0,9 \frac{(3,03)^4 - (2,93)^4}{30 - 20} = 5,4 \text{ [ჯ/წმ} \cdot \text{მ}^2 \cdot \text{K]}.$$

მივიღოთ, რომ თბოსაიზოლაციო მასალის ე.წ. „ეკობამბის“ სისქე $\delta_{ოზ.} = 0,05$ [მ], ხოლო [12]-ის მიხედვით, თბოგამტარობის კოეფიციენტი ტოლია $\lambda_{ოზ.} = 0,04$ [ჯ/წმ·მ·K]. მაშინ ცნობილი სიდიდეების შეტანით (24) გამოსახულება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{0,04}{0,05} \cdot (100 - t_{კედ.}^{გარე}) = (3,55 + 5,4) \cdot (t_{კედ.}^{გარე} - 20) . \quad (25)$$

(25)–გამოსახულებიდან დადგენილი იქნა, რომ $t_{კედ.}^{გარე}$ -ის, ე.ი. თბოიზოლაციის გარე ზედაპირის ტემპერატურა არ აღემატება 28°C-ს, ანუ ჩვენს მიერ დაშვებულ 30°C–საგან განსხვავება მისაღებია, რადგან მიღწეული სიზუსტე დამაკმაყოფილებელია.

თბოსაიზოლაციო მასალების სისქის (5სმ) დამატებით გაიზრდება აპარატის (სახურავი, ცილინდრი, ფსკერი) ზომები, რის გამოც $F_{სით.გადაც.}^{გარემოში}$ გაიზრდება ~20მ²-მდე. მაშინ (20) და (21) გამოსახულებების მიხედვით, სითბოს ჯამური დანაკარგი იქნება:

$$Q_{დანაკ}^{1 პერიოდი} = (3,32 + 5,34) \cdot (28 - 20) \cdot 20 \cdot 32531 = 45075 \text{ [კჯ]} .$$

აღნიშნულის შესაბამისად კი, სუსპენზიური ზეთის დამზადების I პერიოდში გაცხელებელი ორთქლის მიერ საზეთე ნარევის 100°C ტემპერატურამდე გაცხელების უზრუნველსაყოფად შემოტანილი სითბური ენერგიის ხარჯი, (11)-ის მიხედვით, იქნება:

$$Q_{ორთქლის}^{1 პერიოდი} = 874633 + 41933 + 45075 = 961641 \text{ [კჯ]}.$$

ამგვარად, საზეთე ნარევის 20-დან 100°C ტემპერატურამდე, მოცემული თბოიზოლაციის მქონე ამორთქლებელ–ჰომოგენიზატორში, გაცხელების ხანგრძლივობა შეადგენს 9 საათს, ხოლო დახარჯული სითბური ენერგია 961641 კილოჯოულს. ეს სიმძლავრეზე გადაანგარიშებით არის 30კვტ, რაც, თანამედროვე ორთქლის გენერატორების სიმძლავრის თვალსაზრისით, მისაღებია.

დასკვნა

ნაშრომში დამუშავებულია საავტომობილო სუსპენზიური ზეთის ნანოტექნოლოგიით დამზადების I პერიოდის, ანუ საზეთე ნარევის სასურველ ტემპერატურამდე გაცხელების მათემატიკური მოდელი, რომელიც გაცხელებისათვის საჭირო სითბოს რაოდენობისა და მისი მიწოდების ხანგრძლივობის ოპტიმალური სიდიდეების დადგენის საშუალებას იძლევა, ისეთი ფაქტორებისაგან დამოკიდებულებით, როგორცაა გაცხელების პროცესის და სითბოს წყაროს თბოფიზიკური პარამეტრები, ასევე ამორთქლებელ-ჰომოგენიზატორის გაბარიტული ზომები და მისი მასალის და თბოიზოლაციის მახასიათებლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Харламов В.В., Липов Н.Е., Коновалов Н.И. и др. Выделение ацетилена из газов окислительного пиролиза метана. Изд. „химия“, М, 1969, 96с.
2. Иосебидзе Д.С., Апакидзе Т.М., Чхеидзе А.П., Абрамишвили Г.С., и др. Повышение долговечности, экономичности и экологичности автомобилей разработкой и применением масел нового поколения. Изд. “Технический университет”, Тбилиси, 2000, 370 с.
3. Краснощеков Е.А., Сукомел А.С. Задачник по теплопередаче: учеб. пособие для вузов. – 4-е изд., перераб. – М.: Энергия, 1980. – 288 с.
4. Юдаев Б. Н. Теплопередача: учебник для втузов. – М.: Высшая школа, 1973. – 360 с.
5. Исаченко В.П., Осипова В.А., А.С. Сукомел. Теплопередача. «Энергоиздат», Москва, 1981.
6. Борисов Г.С., Брыков М.П., Дытнерский Ю.И. Основные процессы и аппараты химической технологии. «Химия», Москва, 1991, 490 с.
7. Баранов Д.А., Кутепов А.М. Процессы и аппараты. «Академия», Москва, 2004,304 с.
8. Дульнев Г. Н., Заричняк Ю. П. Теплопроводность смесей и композиционных материалов: справочная книга. – Ленинградское отделение издательства “Энергия”, 1974. – 264 с.
9. Материалы в приборостроении и автоматике: справочник. Колл. авт. Под ред. Пятин Ю. М. – М.: Машиностроение, 1969. – 631 с.
10. Чиркин В. С. Теплофизические свойства материалов ядерной техники: справочник. – М.: Атомиздат, 1968. – 484 с.
11. Нащокин В. В. Техническая термодинамика и теплопередача: учеб. пособие для вузов. – 3-е изд., перераб. – М.: Высшая школа, 1980. – 469 с.
12. http://nenuda.ru/nuda/144/143295/143295_html_5db85775.jpg.

13. Чередниченко Г.И., Фронтштейгер Г.Б., Ступак П.М. Физико-химические и теплофизические свойства смазочных материалов. Изд. «Химия», Москва, 1986, 223с.
14. Теплохимический справочник/ Под общ. ред. В.Н. Юренева и П.Д. Лебедева (т. 2), «Энергия», Москва, 1976.
15. ლომინაძე შ., ყოფშიძე მ., ჩიტაშვილი გ. ენერგეტიკული დანადგარები. გამომც. „განათლება“, თბილისი, 1987, 417 გვ.

Разработка математической модели процесса изготовления нанотехнологией высокоэффективного автомобильного суспензионного масла

**Какашвили Л., Мачавариани Э., Иосебидзе Д., Аладашвили Д.,
Хведелидзе М., Диасамидзе Н.**

Резюме

Разработана математическая модель I периода процесса изготовления нанотехнологией автомобильного масла, которая позволяет определить оптимальные значения количества тепла и продолжительности его подачи, необходимых для разогрева начальной суспензии до нужной температуры, в зависимости от теплофизических параметров процесса разогрева и источника тепла-насыщенного водяного пара, а также габаритов аппарата и характеристик его материала и теплоизоляции.

DEVELOPMENT OF MATHEMATICAL MODEL OF MANUFACTURING PROCESS WITH HIGH EFFICIENCY SUSPENSION MOTOR OIL BY NANOTECHNOLOGY

**L. Kakashvili, E. Machavariani, J. Iosebidze, D. Aladashvili,
M. Khvedelidze, N. Diasamidze**

Abstract

In the paper is developed the mathematical model of motor oil by nanotechnology manufacturing at I period, or at lubricating mixture heating to the desired temperature that gives the possibility to determine the required heat quantity and the delivery optimal values for heating depending on such factors as thermo physical parameters of the heating process and heat source, as well as its material and insulation evaporator-homogenize overall dimensions and characteristics.

უაკ 629.113.

საქალაქო ავტობუსების საექსპლუატაციო სიჩქარე

და მისი გაზრდა

დ. ფრიდონაშვილი, რ. ველიჯანაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. №77,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: *სტატიაში ნაჩვენებია საქალაქო საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ის პრობლემები, რომელთა გავლენითაც კატასტროფულად შემცირებულია მოძრავი შემადგენლობის საშუალო სიჩქარეები. განხილულია და გაანალიზებული დასახელებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებები. ამის შედეგად წარმოადგენილია რეკომენდაციები საქალაქო ავტობუსების საექსპლუატაციო სიჩქარის გაზრდის მიზნით სპეციალური ზოლების გამოყოფით, სადაც გაჩერებებს შორის მანძილის შერჩევა მიზანშეწონილია მოხდეს ავტორთა მიერ დამუშავებული სახასიათო მარშრუტის შექმნის მეთოდიკით. განხორციელებულია წარმოდგენილი წინადადების კონკრეტიზაცია ქ. თბილისის მაგალითზე.*

საკვანძო სიტყვები: საქალაქო ავტობუსი, საექსპლუატაციო სიჩქარე, სპეციალური ზოლები, სახასიათო მარშრუტი.

შესავალი

საქალაქო ტრანსპორტის დანიშნულებაა უზრუნველყოს გადაზიდვებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც გამოიხატება კომფორტულ და უსაფრთხო მგზავრობაში და ამ პროცესზე დახარჯული დროის შემცირებაში. აღნიშნული ამოცანის გალდაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საქალაქო

ავტობუსებს, რომელთა ხვედრითი წილი მთლიან გადაზიდვებში 35..50%-ის ფარგლებშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში სატრანსპორტო პროცესის პირობები მკვეთრად შეიცვალა: საავტომობილო პარკის რიცხვობრივმა ზრდამ დიდად გაუსწრო საავტომობილო გზების ფართობების მატებას. ამ მოვლენამ ბუნებრივად გამოიწვია სატრანსპორტო ნაკადების სიმჭიდროვის ზრდა. ამიტომ მიუხედავად მრავალგზის მეცნიერული კვლევებისა, ბოლო წლებში საქალაქო ავტობუსების საექსპლუატაციო სიჩქარეები კიდევ შემცირდა. მაგ. პარიზში შეადგენს 7 კმ/სთ-ს, ლონდონში 12კმ/სთ, აშშ-ს ქალაქებში 14–16 კმ/სთ-ს. მიუხედავად იმისა, რომ საავტომობილო გზების ფართობი ლონდონში არის მთელი ქალაქის ფართობის 25%, ხოლო ნიუ-იორკში 35%, დასახლებული პუნქტებში პიკის საათებში მოძრაობის სიჩქარე ჩამოდის 5–8 კმ-სთ-მდე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დასახული იქნა ამოცანა საქალაქო ავტობუსების საექსპლუატაციო სიჩქარის გაზრდის მიზნით, რეკომენდაციების დასამუშავებლად.

ძირითადი ნაწილი

საქალაქო ავტობუსის საექსპლუატაციო სიჩქარეს განსაზღვრავს მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორები:

- ავტობუსის დინამიკური ანუ წვეთი თვისებები,
- საგზაო პირობები (გზის სიგანე და მისი საფარი), სავალი ნაწილის ქანობი და კეთილმოწობა, გზაჯვარედინების რაოდენობა, მოძრაობის რეგულირების საშუალებები
- მოძრაობის ინტენსივობა და ნაკადის შედგენილობა;
- გადასარბენების არაოპტიმალური სიდიდეები;
- საქალაქო ავტობუსებისათვის სპეციალური ზოლების არ არსებობა ან მათზე მოძრაობის არასწორი ორგანიზაცია;
- ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს საქალაქო ავტობუსებისა და მისი ძრავის ექსპლუატაციას რთული რეჟიმებში (იხ. ცხრ.1) შედარებისთვის აქვე მოცემულია ანალოგიური მაჩვენებლები მსუბუქი ავტომობილის;

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №3 (43) 2018

იმ მიზნით რათა გაუმჯობესდეს საქალაქო ავტობუსების მუშაობის პირობები, საავტომობილო დარგის მუშაკები იძლევიან რეკომენდაციებს სხვადასხვა მიმართულებით: ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტის კოორდინირებული

ცხრილი 1

**დიდ ქალაქებში ექსპლუატაციისას ავტომობილის
ძრავის მუშაობის რეჟიმები**

ავტომობილის ტიპი	უქმ სვლა %	გაქანება %	დამყარებული მოდრაობა %	დამუხრუჭება
მსუბუქი ავტომობილი	30	25	25	20
საქალაქო ავტობუსი მარშრუტზე				
ნაკლებ რთული	32	35	28	5
საშუალო სირთულის	34	40	20	6
მძიმე	40	45	9	6

მოდრაობა და მისი მართვა ავტომატიზირებული სისტემით, თანაბარი დინამიკური თვისებების მქონე ავტობუსების გამოყენება, ჩქაროსნული და ექსპრესული რეჟიმების დანერგვა, ცალმხრივი მოძრაობების დაწესება და სხვა მრავალრიცხოვანი მეცნიერული კვლევების თანახმად დღეისათვის საქალაქო ავტობუსების დინამიკური თვისებები საკმაოდ მაღალ დონეზეა, მისი რეალიზება ხდება შესაძლებლობის 30%-ის ფარგლებში. ამიტომ ამ სიდიდის გაზრდისათვის (რაც უცილობლად გამოიწვევს საექსპლუატაციო სიჩქარის მომატებას) ზემოთ აღნიშნული მრავალრიცხოვანი კვლევებიდან მეცნიერები უპირატესობას ანიჭებენ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის სპეციალური ზოლების გამოყოფას მთელი მარშრუტის სიგრძეზე ან მის ცალკეულ მონაკვეთებზე. აღნიშნული რეკომენდაცია ფართოდ ინერგება მთელ რიგ ქალაქებში. თბილისში უკვე რამოდენიმე ქუჩის (ჭავჭავაძე, პეკინი, კოსტავა, გორგასალი, ღვინის აღმართი) მთელ რიგ მონაკვეთებზეა აღნიშნული ღონისძიება განხორციელებული.

საქალაქო ავტობუსებისათვის სპეციალური ზოლების გამოყოფის შემთხვევაში მცირდება ზემოთ ჩამოთვლილი უმეტესი ფაქტორების (მაგ. სატრანსპორტო ნაკადის სიმჭიდროვე) გავლენა მოძრაობის სიჩქარეზე და

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №3 (43) 2018


მკვეთრად იზრდება ამ უკანასკნელის დამოკიდებულება გადასარბენის სიგრძეზე. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ავტობუსის გაჩერებებს შორის მანძილის ოპტიმალური სიდიდის შერჩევა და მოვახდინეთ მისი კონკრეტიზაცია ქ. თბილისის მაგალითზე. დღისათვის ჩვენს დედაქალაქში ფუნქციონირებს საქალაქო ავტობუსების 102 მარშრუტი. გაჩერებების რაოდენობა შეადგენს 2000-ს. გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ დამუშავებული სახასიათო მარშრუტის შედგენის მეთოდიკა. ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი და იგივე ქუჩის მონაკვეთი სტატისტიკურ მონაცემებში შედის იმდენჯერ, რამდენი მარშრუტიც გადის მასზე.

მონაცემების სრულად დამუშავების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 2

გაჩერებებს შორის მანძილები (მ)	<300	300-400	400-500	500-600	600-700	>700
მათი ხვედრითი წილი (%)	23	35	14	9	12	7

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს ქ. თბილისში საქალაქო ავტობუსების მარშრუტებზე სჭარბობს გადასარბენები სიგრძის 300–400 მ(35%), საკმაოდ დიდია 300მ-ზე ნაკლები სიგრძის გადასარბენები 23%. თუ ამ მონაცემებს შევადარებთ სურ1-ზე გამოსახულ დიაგრამას, რომელიც წარმოადგენს მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების გასაშუალებულ მაჩვენებლებს დავრწმუნდებით, რომ ქ.თბილისში არსებულ მარშრუტებზე უნდა მოხდეს გადასარბენების სიგრძის გაზრდა, ამასთან როგორც დიაგრამიდან ჩანს 1000 მ-ზე მეტად გაზრდის გაჩერებებს შორის მანძილს აღარ აქვს აზრი, რადგან სიჩქარის ზრდა ხდება უმნიშვნელოდ.



სურათი 1. ავტობუსის საექსპლუატაციო სიჩქარისა და გადასარბენის სიგრძეს შორის დამოკიდებულება

დასკვნა

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქალაქო ავტობუსის საექსპლუატაციო სიჩქარის გაზრდის მნიშვნელოვანი საშუალება არის გამოყოფა ამ მოძრავი შემადგენლობისათვის გზის სპეციალური ზოლებისა, სადაც დიდი მგზავრნაკადების მქონე მონაკვეთებისათვის გაჩერებებს შორის მანძილი უნდა ავიდეთ 600–700 მ, ხოლო მცირე მგზავრნაკადების შემთხვევაში 800–1000მ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://studbooks.net/.../puti.povysheniya> tehnicheskay skorost dvizheniya avtobu;
2. დ. ფრიდონაშვილი, ზ. ბოგველიშვილი - საქალაქო ავტობუსის მოძრაობის ტიპიური ციკლის დადგენა, ს/ტ ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“. თბილისი, №2, 2010წ., გვ. 291–295;
3. Д. Придонашвили, Н. Навадзе, Н. Диасамидзе - Проблемы городского автобуса и возможные пути их решения. Н/Т журнал «Транспорт». Тбилиси, №1-2, 2017, ст. 17-18.

operational speed of urban bus and its increasing

D. Pridonashvili, R. Velijanashvili

Abstract

In the article are presented problems of urban buses operation due impact of that is drastically reduced the average speeds of rolling stock. Are considered and analyzed the actions for elimination of mentioned disadvantages. As result are presented recommendations in order for increasing of bus operational speed to create the special lines, in that the distance between stops is advisable to calculate by developed by authors methodology for creation of characteristic route. Is performed the specification of presented proposal on the case of Tbilisi city.

ЭКСПЛУАТАЦИОННАЯ СКОРОСТЬ ГОРОДСКОГО АВТОБУСА И ЕЁ УВЕЛИЧЕНИЕ

Д. Придонашвили, Р. Велиджанашвили

Резюме

В статье показаны те проблемы эксплуатации городского автомобильного транспорта, под влиянием которых катастрофически уменьшаются эксплуатационные скорости подвижного состава. Рассмотрена и проанализированы мероприятия позволяющие избежать указанные недостатки. В результате представлены рекомендации с целью увеличения эксплуатационной скорости автобусов выделить специальные полосы, где расстояние между остановками целесообразно выбрать согласно разработанной авторами специальной методике по созданию характерного маршрута. Выполнена конкретизация представленного предложения на примере г. Тбилиси.

**დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაო პროცესების კვლევა
საზღვაო პორტებში**

თ. გეგენავა, გ. ცეცხლაძე, რ. ველიჯანაშვილი
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. №77,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნებისმიერი სახის საქონლის მიღება, დაკომპლექტება, საწყობში შემოსული საქონლის გადამოწმება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საბაჟოს მეთვალყურეობის ქვეშ განუბაჟებელი საქონლის საწყობში მოთავსება ხორციელდება დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმებით, რომელთა მუშა პროცესების საიმედოობაზეა დამოკიდებული აღნიშნული სამუშაოების შესრულების ეფექტურობა. დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესში მოცდენის დრო დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთა კვლევა და მათი პრევენციული ღონისძიებებით შემცირება გაზრდის ტვირთბრუნვის ეფექტურობას და ლოგისტიკურ ჯაჭვში პროცესების უწყვეტად განხორციელებას. საზღვაო პორტებში ტვირთნაკადების მრავალსახეობაა, რაც ზრდის დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმების მუშა პროცესების ხანგრძლივობას, მოცდენის დროის ნაწილი დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმებზე მოდის. მნიშვნელოვანია ჩატარდეს დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესში მონაწილე მექანიზმების მუშა პროცესების კვლევა, რათა გაუმჯობესდეს, ლოგისტიკურ ჯაჭვებს შორის კავშირი. კვლევების ჩატარება მიმდინარეობს ბათუმისა და ფოთის პორტში.

საძიებო სიტყვები: დატვირთვა-გადმოტვირთვა, ნავმისადგომი, ამწე მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ტვირთები, ტექნოლოგიური პროცესები, პორტები.

შესავალი

საზღვაო ნავსადგურებში გადასატვირთი პროცესების ძირითად ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს გადასატვირთი კომპლექსები, რომლის ძირითადი ელემენტებია:

1. ტექნოლოგიური - ნავმისადგომი, საწყობები, გადასატვირთი მოწყობილობები და მისასვლელი გზები;

2. უზრუნველყოფი - წყალსადენი ელექტროქსელი, კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვა. გადასატვირთი კომპლექსის სასაწყობო სათავსოების ტვირთტევადობა 2-3-ჯერ აღემატება გემიდან გადმოსატვირთი პარტიის მასას. ტვირთის შენახვის საშუალო ვადა 2-3 ჯერ აღემატება გემის დატვირთვა-განტვირთვის ხანგრძლივობას.

